

შპს „ჰოტელ კოსტე“

ფინანსური ანგარიშგება  
2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

თბილისი, 2021 წ.

## შპს ჰოტელ კოსტე - ინდივიდუალური

## სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის

|                                   | შენიშვნა | 2018<br>1 ლარი | 2019<br>1 ლარი   | 2020<br>1 ლარი   |
|-----------------------------------|----------|----------------|------------------|------------------|
| ამონაგები                         | 4        | 2,786,502      | 2,391,380        | 666,324.47       |
| არასაოპერაციო შემოსავლები         | 5        | 3,729          | 7,537            | 13,746.00        |
| სხვა შემოსავალი                   | 5        | -              | 715              | -                |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 6        | (1,653,381)    | (1,618,343)      | (1,126,801.45)   |
| გამოყენებული ნედლეული და მასალები | -        | (484,535)      | (485,601)        | -234,817.00      |
| საპროცენტო ხარჯები                | 7        | (183,401)      | (135,560)        | -29,112.00       |
| საგადასახადო ხარჯი                | -        | -              | -                | 0.00             |
| სხვა ხარჯები                      | -        | (65,244)       | (68,216)         | 0.00             |
| კურსთაშორის სხვაობა               | -        | (339,570)      | (255,394)        | -273.14          |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>         | <b>-</b> | <b>64,100</b>  | <b>(163,481)</b> | <b>(710,933)</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი         | -        | -              | -                | -                |
| <b>მიმდინარე წლის მოგება</b>      | <b>-</b> | <b>64,100</b>  | <b>(163,481)</b> | <b>(710,933)</b> |

საწარმოს დირექტორი

თამარ ბაღდავაძე

შპს პოტელ კოსტე - ინდივიდუალური  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრისათვის

| აქტივები                                |    | შენიშვნა | 2018<br>1 ლარი | 2019<br>1 ლარი | 2020<br>1 ლარი |
|-----------------------------------------|----|----------|----------------|----------------|----------------|
| მიმდინარე აქტივები                      |    |          |                |                |                |
| ფულადი სახსრები                         | 8  |          | 30,624         | 73,148         | 101,083        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები              | 9  |          | 95,232         | 129,306        | 236,475        |
| სხვა წინასწარ გაწეული დანახარჯები       | 10 |          | 91,546         | -              | 1,102          |
| სხვა მიმდინარე აქტივები                 |    |          | -              | -              | 10,035         |
| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები       | 11 |          | 69,028         | 55,077         | 44,326         |
|                                         |    |          | 286,430        | 257,531        | 393,020        |
| გრძელვადიანი აქტივები                   |    |          |                |                |                |
| ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში       | -  |          | -              | -              | -              |
| ძირითადი საშუალებები                    | 12 |          | 10,327,303     | 9,841,272      | 9,310,657      |
| არამატერიალური აქტივები                 | 13 |          | 16,887         | 13,462         | 11,443         |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი        | -  |          | -              | -              | -              |
|                                         |    |          | 10,344,190     | 9,854,734      | 9,322,100      |
| სულ აქტივები                            |    |          | 10,630,620     | 10,112,265     | 9,715,121      |
| ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი      |    |          |                |                |                |
| მოკლევადიანი ვალდებულებები              |    |          |                |                |                |
| სავაჭრო ვალდებულებები                   | 14 |          | (409,221)      | (413,958)      | (415,076)      |
| გადასახდელი პროცენტი                    | -  |          | -              | -              | -              |
| მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება      | -  |          | -              | (13,176)       | (16,077)       |
| ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინა? | -  |          | (1,500)        | -              | -              |
| ფინანსური იჯარის ვალდებულებები          | -  |          | -              | -              | -              |
|                                         |    |          | (410,721)      | (427,134)      | (431,153)      |
| გრძელვადიანი ვალდებულებები              |    |          |                |                |                |
| გრძელვადიანი სესხები                    | 15 |          | (1,764,268)    | (1,590,487)    | (1,788,262)    |
| მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოები   | -  |          | -              | -              | -              |
| გადავადებული მოგების გადასახადი         | -  |          | -              | -              | -              |
| ფინანსური იჯარის ვალდებულებები          | -  |          | -              | -              | -              |
|                                         |    |          | (1,764,268)    | (1,590,487)    | (1,788,262)    |
| სულ ვალდებულებები                       |    |          | (2,174,989)    | (2,017,622)    | (2,219,415)    |

|                                        |    |              |              |             |
|----------------------------------------|----|--------------|--------------|-------------|
| საკუთარი კაპიტალი                      |    |              |              |             |
| სააქციო კაპიტალი                       | 16 | (540,000)    | (540,000)    | (540,000)   |
| რეზერვები და დაფინანსება               | 17 | (6,733,971)  | (6,733,971)  | (6,733,971) |
| აკუმულირებული მოგება/ზარალი            | -  | (1,117,560)  | (984,153)    | (932,668)   |
| მიმდინარე წლის მოგება/ზარალი           | -  | (64,100)     | 163,482      | 710,933     |
|                                        |    | (8,455,631)  | (8,094,642)  | (7,495,706) |
| სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი |    | (10,630,620) | (10,112,264) | (9,715,121) |

საწარმოს დირექტორი  
თამარ ბაღდავაძე

**შპს ჰოტელ კოსტე - ინდივიდუალური  
ფულადი ნაკადების ანგარიშგება  
2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის**

| შენიშვნა                                             |   | 2018<br>1 ლარი   | 2019<br>1 ლარი   | 2020<br>1 ლარი  |
|------------------------------------------------------|---|------------------|------------------|-----------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>      |   |                  |                  |                 |
| მოგება დაბეგვრამდე                                   | - | 468,914          | (163,481)        | (710,933.12)    |
| ცვეთის და ამორტიცაზიის ხარჯი                         | - | 667,436          | 609,433          | 605,325.87      |
| სხვა საერთო შემოსავალი და ხარჯი                      | - | (65,244)         | (18,336)         | 111,996.00      |
| წმინდა სარგებელი გაცვლითი კურსიდან                   | - | (339,570)        | -                | -               |
| ზარალი აქტივების ჩამოწერიდან                         | - | -                | 19,584           | -               |
| დარიცხული საორიციენტო ხარჯი                          | - | -                | 135,560          | -               |
| <b>(ზრდა)/შემცირება სასაქონლო მატერიალური :</b>      |   |                  |                  |                 |
| (ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორული დავ              | - | (20,487)         | 13,939           | 10,750.83       |
| (ზრდა)/შემცირება საგადასახადო აქტივებში              | - | 85,490           | 7,617            | (118,305.18)    |
| (ზრდა)/შემცირება საგადასახადო აქტივებში              | - | (91,546)         | -                | -               |
| (ზრდა)/შემცირება საგადასახადო ვალდებულებ             | - | (3,186)          | 5,354            | 2,900.90        |
| (ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებ          | - | (3,186)          | (37,119)         | 1,117.62        |
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>      |   | <b>698,621</b>   | <b>572,552</b>   | <b>(97,147)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>    |   |                  |                  |                 |
| ძირითადი საშუალების (შექმენა)/გაყიდვა                | - | (557,032)        | (140,546)        | (72,692.00)     |
| არამატერიალური საშუალების (შექმენა)/გაყიდვა          | - | 1,085            | (562)            | -               |
| მიღებული დივიდენდი                                   | - | -                | -                | -               |
| მიღებული პროცენტები                                  | - | -                | -                | -               |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>    |   | <b>(555,947)</b> | <b>(141,108)</b> | <b>(72,692)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>       |   |                  |                  |                 |
| საწესდებო კაპიტალის შემოტანა                         | - | -                | -                | -               |
| ნასესხები სახსრების შემოსვლა/(დაფარვა)               | - | (243,976)        | (300,362)        | 197,774.54      |
| სესხების გადახდა                                     | - | -                | -                | -               |
| პროცენტის გადახდა                                    | - | -                | (8,978)          | -               |
| გაცემული დივიდენდები                                 | - | (233,263)        | (79,579)         | -               |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>       |   | <b>(477,239)</b> | <b>(388,919)</b> | <b>197,775</b>  |
| <b>ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისი</b> |   |                  |                  |                 |
| ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისი        | - | 25,619           | 30,624           | 73,148          |
| ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოს            | - | 30,625           | 73,148           | 101,083         |
|                                                      |   | 5,006            | 42,524           | 27,935          |

საწარმოს დირექტორი  
თამარ ბაღდავაძე

შპს ჰოტელ კოსტე - ინდივიდუალური  
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება  
2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის

|                                       | ძს-ის გადაფ.<br>დეზერვი<br>1 ლარი | საწესებო<br>კაპიტალი<br>1 ლარი | აკუმ. მოგება<br>1 ლარი |
|---------------------------------------|-----------------------------------|--------------------------------|------------------------|
| კაპიტალი 2018 წ. 31 დეკემბრით         | 6,733,971                         | 540,000                        | 1,181,661              |
| პერიოდის მოგება/ზარალი                | -                                 | -                              | 163,481                |
| პერიოდის დივიდენდები                  | -                                 | -                              | 79,579                 |
| პერიოდის რეზერვების მოძრაობა          | -                                 | -                              | 117,929                |
| პერიოდში დამფუძნებლის შემონატანი      | -                                 | -                              | -                      |
| კაპიტალი 2019 წ. 31 დეკემბრით         | 6,733,971                         | 540,000                        | 820,672                |
| პერიოდის მოგება/ზარალი                | -                                 | -                              | 710,933                |
| პერიოდის დივიდენდები                  | -                                 | -                              | 111,996                |
| პერიოდის რეზერვების მოძრაობა          | -                                 | -                              | -                      |
| პერიოდში დამფუძნებლის შემონატანი      | -                                 | -                              | -                      |
| კაპიტალი 2020 წ. 31 დეკემბრით         | 6,733,971                         | 540,000                        | 221,735                |
| საწარმოს დირექტორი<br>თამარ ბაღდავაძე |                                   |                                |                        |

**შპს ჰოტელ კოსტე - ინდივიდუალური  
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები  
2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

**1. ზოგადი ინფორმაცია**

შპს ჰოტელ კოსტე შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. რეგისტრაციის და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, კოსტავას 45ა. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია 204935696, კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

თამარ ბაღდავაძე 18%;

ცისანა ბაღდავაძე 18%;

თამარა ბაღდავაძე 28%;

ნარგული ცხვედიანი 36%;

კომპანიის დირექტორია თამარა ბაღდავაძე.

კომპანიის საქმიანობაა სასტუმრო, სარესტორნო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (სატრანსპორტო მომსახურება, საკომინიკაციო მომსახურება და სხვა) მიწოდება ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე.

**2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. (IFRS for SMEs)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

|           | 31.12.2018 | 31.12.2019 | 31.12.2020 |
|-----------|------------|------------|------------|
| 1 USD/GEL | 2.6766     | 2.8677     | 3.2766     |
| 1 EUR/GEL | 3.0701     | 3.2095     | 4.0233     |

## შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

## ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

## ფინანსური ინსტრუმენტები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

## ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება შემოსავლებში მომსახურების გაწევის დასრულების მომენტში (სასტურო მომსახურება). ამონაგები საქონლის მიწოდებიდან აღიარდება საქონლის მყიდველზე გადაცემის მომენტში. (სარესტორნო და სხვა მომსახურებები).

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდამოებებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

## სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები და შემოსავალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

## მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი ესტონური მოდელის შესაბამისად საწარმო არ აღრიცხავს მოგების გადასახადის ვალდებულებას, სანამ არ მოხდება ამ მოგების დივიდენდად განაწილება (განაწილებად ასევე შეიძლება ჩაითვალოს რიგი სხვა განაცემებიც). შესაბამისად გაუნაწილებელ მოგებაში ასახულია როგორც პარტნიორების წმინდა მოგება ასევე მოგების გადასახადი 15%.

### ძირითადი საშუალებები

ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი მომსახურების პერიოდები:

|                     |     |         |
|---------------------|-----|---------|
| შენობა-ნაგებობები   | 5%  | 10 წელი |
| მანქანა-დანადგარები | 20% | 4 წელი  |
| ოფისის არტურვილობა  | 20% | 5 წელი  |
| ავეჯი ინვეტარი      | 20% | 5 წელი  |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

### არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ნარჩენი ღირებულების მეთოდის გამოყენებით და ცვეთის ნორმად აღებულია 15%.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და შეიღობი საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

### იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

### სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია ხორციელდება ყოველთვიურად. შედეგები აღიარდება მოგება/ზარალში.

თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი მეთოდის“ გამოყენებით.

### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### სესხები

საპროცენტო ხარჯი და შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში და შემოსავლებში.

### ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

საწარმოს მომსახურებას არ ახლავს გარანტია, შესაბამისად არაა აქტუალური საგარანტიო ანარიცხების ან რეზერვების გაკეთება.

### პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

საწარმოს არანაირი პირობითი აქტივი და ვალდებულება არ წარმოქმნია 2020 წლის პერიოდში ან ანგარიშგების გამოქვეყნების მომენტისათვის, შესაბამისად არ აქვს ასახული ასეთი მუხლები ახსნა-განმარტებით შენიშვნებში ან თავად ანგარიშებში.

#### 4. ამონაგები

|                                          | 2018<br>1 ლარი   | 2019<br>1 ლარი   | 2020<br>1 ლარი |
|------------------------------------------|------------------|------------------|----------------|
| შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან      | 2,296,568        | 2,017,741        | 315,302.25     |
| შემოსავალი რესტორნიდან და ბარიდან        | 381,429          | 337,972          | 264,222.77     |
| სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი* | 108,504          | 35,667           | 86,799.45      |
|                                          | <b>2,786,502</b> | <b>2,391,380</b> | <b>666,324</b> |

საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლები იყოფა კატეგორიებად.

- მიღებული სტუმრების დაბინავების შემოსავლები აღირიცხება პროგრამა "ფიდელო"-ში.
- რესტორნიდან და ბარიდან მიღებული შემოსავლები აღირიცხება სარესტორნო პროგრამის მონაცემებით,

სხვა მომსახურებებია (საკონფერენციო დარბაზის გაქირავება, სამრეცხაოდან მიღებული შემოსავალი, მანქანით მომსახურება და სხვა)

#### 5. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და სხვა შემოსავლები

ეს ინვენტარიზაციით გამოვლენილი საქონლის ზედმეტობებია და ვალუტის კურსთაშორის სხვაობით მიღებული შედეგებია.

#### 6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                     | 2018<br>1 ლარი   | 2019<br>1 ლარი   | 2020<br>1 ლარი   |
|-------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| ცვეთა და ამორტიზაცია                | 667,436          | 609,433          | 564,066          |
| შრომის ანაზღაურება                  | 616,448          | 674,620          | 332,547          |
| კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები | 165,020          | 159,183          | 104,440          |
| მიმდინარე რემონტი                   | 31,736           | 50,354           | 22,535           |
| სადაზრვაო ხარჯები                   | 14,455           | 15,702           | 15,733           |
| ბანკის მომსახურების ხარჯი           | 13,612           | 0                | 0                |
| საკანცელარიო ხარჯი                  | 3,348            | 0                | 0                |
| საიჯარო ქირა                        | 305              | 519              | 229              |
| საგადასახადო ხარჯები                | 0                | 99,555           | 0                |
| სხვადასხვა                          | 141,020          | 8,978            | 87,251           |
|                                     | <b>1,653,380</b> | <b>1,618,343</b> | <b>1,126,801</b> |

#### 7. ფინანსური ხარჯები

სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი,

## 8. ფულადი სახსრები

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხოვრო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

|                                 | 2018<br>1 ლარი | 2019<br>1 ლარი | 2020<br>1 ლარი |
|---------------------------------|----------------|----------------|----------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში     | 10,495         | 7,508          | 1,353          |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 18,102         | 35,292         | 98,191         |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში  | 2,026          | 30,348         | 1,539          |
|                                 | <b>30,624</b>  | <b>73,148</b>  | <b>101,083</b> |

## 9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                      | 2018<br>1 ლარი | 2019<br>1 ლარი | 2020<br>1 ლარი |
|--------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| სავაჭრო დებიტორები                   | 79,040         | 89,877         | 47,068.96      |
| გაცემული ავანსები მომწოდებლებზე      | -              | 38,094         | -              |
| საქვეანგარიშო პირზე გაცემული თანხები | 14,215         | 245            | 189,406.08     |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები           | 1,978          | 1,090          | -              |
|                                      | <b>95,233</b>  | <b>129,306</b> | <b>236,475</b> |

## 10. წინასწარ გადახდილი ხარჯები

-

## 11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

|                                          | 2018<br>1 ლარი | 2019<br>1 ლარი | 2020<br>1 ლარი |
|------------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| საქონელი                                 | 41,718         | 30,835         | 4,511          |
| სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი        | 21,717         | 21,260         | 1,448          |
| რესტორნის სასმელები და კვების პროდუქტები | 3,451          | 1,178          | 37,306         |
| ჰიგიენის სახარჯი მასალები                | 1,062          | 742            | -              |
| სუვენირები                               | 1,081          | 1,062          | 1,062          |
|                                          | <b>69,029</b>  | <b>55,077</b>  | <b>44,326</b>  |

საწარმოს გააჩნია მასალები და მზა პროდუქცია.

მასალები შედგება კვებისთვის გამოსაყენებელი პროდუქციისგან, ხოლო მზა პროდუქცია მოიცავს ბარის საქონელს.

## 12. ძირითადი საშუალებების მოძრაობა

|                             | 2018<br>1 ლარი    | 2019<br>1 ლარი   | 2020<br>1 ლარი    |
|-----------------------------|-------------------|------------------|-------------------|
| <b>მიწის ნაკვეთი</b>        |                   |                  |                   |
| შემოსვლა                    | -                 | -                | -                 |
| გასვლა                      | -                 | -                | -                 |
| <b>საბოლოო ნაშთი</b>        | <b>577,470</b>    | <b>577,470</b>   | <b>577,470</b>    |
| <b>შენობა-ნაგებობა</b>      |                   | (147,312)        |                   |
| შემოსვლა                    | 223,675           | 102,391          | 12,491            |
| გასვლა                      | (71,685)          | (667)            | -                 |
| ცვეთა                       | (472,752)         | (454,200)        | (432,113)         |
| ცვეთის გასვლა               | -                 | -                | -                 |
| <b>საბოლოო ნაშთი</b>        | <b>9,129,567</b>  | <b>8,629,779</b> | <b>8,210,157</b>  |
| <b>მანქანა-დანადგარი</b>    |                   | 29,855           |                   |
| შემოსვლა                    | 9,023             | 11,053           | 3,407             |
| გასვლა                      | (283)             | -                | -                 |
| ცვეთა                       | (40,152)          | (34,949)         | (28,395)          |
| ცვეთის გასვლა               | -                 | -                | -                 |
| <b>საბოლოო ნაშთი</b>        | <b>130,751</b>    | <b>136,710</b>   | <b>111,722.00</b> |
| <b>აღჭურვილობა</b>          |                   | 115,871          |                   |
| შემოსვლა                    | 68,970            | 28,732           | 54,794            |
| გასვლა                      | (15,600)          | -                | -                 |
| ცვეთა                       | (151,836)         | (138,454)        | (140,797)         |
| ცვეთის გასვლა               | -                 | -                | -                 |
| <b>საბოლოო ნაშთი</b>        | <b>491,164</b>    | <b>497,313</b>   | <b>411,309.78</b> |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> | <b>10,328,952</b> | <b>9,841,272</b> | <b>9,310,658</b>  |

## 13. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები არის საწარმოს მფლობელობაში არსებული პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულება, რომელიც აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით ცვეთის გამოკლებით. აქტივები არის უვადო და მას ერიცხება 15% ამორტიზაცია.

## 14. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებებში არის შემდეგი სახის მოკლევადიანი ვალდებულებები

|                               | 2018<br>1 ლარი    | 2019<br>1 ლარი    | 2020<br>1 ლარი    |
|-------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| სავაჭრო კრედიტორები           | 409,222           | 413,326           | 415,076           |
| მიღებული ავანსები             | -                 | -                 | -                 |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულება | -                 | 632               | -                 |
|                               | <b>409,222.00</b> | <b>413,958.40</b> | <b>415,076.02</b> |

სავაჭრო ვალდებულებებში არის მხოლოდ ანგარიშგების ვალუტაში ნომინირებული.

## ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას იჯარით არ ჰქონდა აღებული რაიმე უძრავი თუ მოძრავი აქტივი

## 15. სესხები

საწარმოს პერიოდის დასაწყისში ჰქონდა სესხი ფიზიკური პირისგან, ასევე საწარმომ აიღო სესხი ბანკიდან,

|                                       | 2018<br>1 ლარი | 2019<br>1 ლარი | 2020<br>1 ლარი |
|---------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| სესხი ლარში (პროკრედიტ ბანკი)         | 25,265         | -              | 67,839.36      |
| სესხი დოლარი (პროკრედიტ ბანკი)        | 216,828        | -              | 145,131.55     |
| სესხი ლარი (ფვ დემური ბარდავაძე)      | -              | -              | -              |
| სესხი დოლარი (ფვ დემური ბარდავაძე)    | 844,486        | 777,239        | 732,931.00     |
| პროცენტი ლარში (პროკრედიტ ბანკი)      | -              | -              | -              |
| პროცენტი დოლარში (პროკრედიტ ბანკი)    | -              | -              | -              |
| პროცენტი დოლარში (ფვ დემურ ბარდავაძე) | 677,689        | 813,249        | 842,360.77     |
|                                       | 1,764,268      | 1,590,487      | 1,788,263      |

2020 წლის მანძილზე ფიზიკური პირის სესხზე დარიცხული იყო 29 110 ლარი, ხოლო ბანკის სესხზე 16 712 ლარი.

## 16. სააქციო კაპიტალი

2019 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 540 000 ლარს, რომელიც შედგება სრულად ანაზღაურებული წილისაგან. 2019 წლის მანძილზე წილებში რაიმე სახის ცვლილება არ მომხდარა.

## 17. ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

ესაა ძირითადი საშუალებების აფასების რეზერვი, რომელის ცვლილებაც 2019 წელს არ მომხდარა და შესაბამისად აისახება უცვლელი სახით წლის დასაწყისსა და ბოლოსათვის.

## პირობითი ვალდებულებები

საწარმოს არ ერიცხება რაიმე პირობითი ვალდებულება, ის არ იმყოფება დავაში ან არ შესულა ისეთ თავდებობაში, რომ გაეჩინა მოლოდინი რაიმე სახის ზარალის, გარანტიის ანაზღაურებაზე. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების მომენტამდე არ გამოვლენილა ასეთი საგარაუდო ვალდებულებების შესახებ რაიმე ნიშნები ან ცნობები.

## საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საწარმოში არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომელიც საჭიროებს დამატებით ასახვას ან განმარტებას შენიშვნებში. არ დამტკიცებულა დივიდენდი, არ დამტკიცებულა კაპიტალის შევსება ან შემცირება.

## კოვის 19 გავლენა

საწარმოს პირდაპირ შეეხო ახალი ვირუსის შედეგად ეკონომიკაზე მიყენებული ზიანი, შედეგად პირდაპირ მოხდა შეზღუდული ბიზნესების რიცხვში და ვერ აგრძელებს საქმიანობას, თუმცა

საწარმოს მენეჯმენტი მიიჩნევს რომ შეუძლია დაძლიოს ეს პერიოდი, ანაზღაუროს ზარალი და განაგრძოს საქმიანობა ჩვეულ რეჟიმში 2021 წლისათვის.

## ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

პარტნიორებმა და კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 30 სექტემბერს.

საწარმოს დირექტორი

თამარ ბაღდავაძე